განმარტებითი ბარათი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების შეჩერების თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ:

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი:

დადგენილების მიღების მიზეზს წარმოადგენს ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველეს სამთამადნო მრეწველობის ძეგლისთვის კანონის უხეში დარღვევით კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი შეჩერება, რომლის შესაბამისადაც კომპანია „RMG“-იმ განახორციელა ძეგლის აფეთქება ოქროს მოპოვების მიზნით.

ა.ბ) პროექტის მიზანი:

პროექტის მიღების მიზანს წარმოადგენს საკითხის შესწავლამდე საყდრისის საბადოზე კომპანია „RMG“-ის მიერ საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევით ოქროს მოპოვებითი სამუშაოების შეჩერება.

ა.გ) პროექტის ძირითადი არსი:

დადგენილების პროექტის მიღების არსს წარმოადგენს საზოგადოების დიდი ნაწილის ინტერესებიდან გამომდინარე საკითხის სრულყოფილად შესწავლამდე საბადოზე ოქროს მოპოვებითი სამუშაოების შეჩერება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ იქონიებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

არ იწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

გავლენას არ იქონიებს.

ბ.ვ) პროექტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

პროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ) პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

პროექტი არ უკავშირდება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით არ გამართულა კონსულტაციები არც ერთ ზემოხსენებულ დაწესებულებასთან თუ ექსპერტებთან.

დ.ბ) პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონოპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

პროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

ე) პროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრი - სერგო რატიანი

ვ) პროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი - სერგო რატიანი